

29/06/2026



MES 7 26 0000811833

**ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 22.06.2026 წ;  
სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ;  
სხდომის დასრულების დრო: 22:30 სთ;  
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;  
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:**

**ეკატერინე ლეჟავა** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

**თამარ ჩიკვილაძე** - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბალების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;

**ნინო ლაბარტყავა** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი, სხდომის თავმჯდომარე;

**მაკა მაისურაძე** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსო, საბჭოს წევრი;

**მარინე ბაიდაური** - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

**ნინო გიუაშვილი** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;

**რონა პერტია** - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;

**ნანა ათუაშვილი** - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**მარი მიქაუტიძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**თეა ცერცვაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ნინო დვალიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**სოფიკო მიქაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ნინო კაპანაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**თამარ ქევხიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**გოგა პარუნაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**ცირა თარალაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:**

**1) ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი:**

თამარ ონიაშვილი - ცენტრის დირექტორი;

ისლამ მარგოშვილი - ცენტრის დირექტორის თანაშემწე;

**დუისის N2 საბავშვო ბაღი:**

მაია ქავთარაშვილი - მენეჯერი;

**ახმეტის N1 საბავშვო ბაღი:**

მარგარიტა გრძელივანიშვილი - მენეჯერი;

**აწყურის საბავშვო ბაღი:**

იკატერინე წითელაური - მენეჯერი;

**მატანის N1 საბავშვო ბაღი:**

ნათია კვანტაშვილი - მენეჯერი;

**მატანის N2 საბავშვო ბაღი:**

მარინე ძამუკშვილი - მენეჯერი;

**ზემო ალვანის N3 საბავშვო ბაღი:**

თამარ იუკურიძე - მენეჯერი.

**2) ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია:**

ზურა ფილაშვილი - მერის მოადგილე.

**3) ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება:**

მაია თელია - გაერთიანების დირექტორი;

ნინო ჯალაღონია - საგანმანათლებლო განყოფილების უფროსი;

**აღდგომლიანთკარის საბავშვო ბაგა-ბაღი:**

ოთარ მუზაშვილი - საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი;

**მცხეთის N6 საბავშვო ბაღი:**

ფოთოლა გაბედავა - საბავშვო ბაღის დირექტორი;

**ნატახტრის საბავშვო ბაღი:**

ლანა ქებაძე - საბავშვო ბაღის დირექტორი;

**წეროვნის საბავშვო ბაგა-ბაღი:**

მეგი ჯაჭვამე - საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი;

**მუხრანის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი:**

მარინა გურგენიძე - საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი;

**საგურამოს საბავშვო ბაგა-ბაღი:**

ხათუნა ბორძიკული - საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი;

**ციხისძირის საბავშვო ბაგა-ბაღი:**

მაია ნიჟარაძე - საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი.

**4) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია:**

ნინო შონია - მერის მოადგილე;

ირმა რატიანიძე - კაპანაძე - მერის მოადგილე;

ხათუნა ნავროზაშვილი - საგანმანათლებლო პროცესების მართვისა და ადმინისტრირების სამსახურის უფროსი.

**4. ადრეული აღზრდისა და განათლების ანდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

**ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი (დუისის N2 საბავშვო ბაღი):**

ანა კანჯარაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;

დინარა ბოლქვაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

ალექსანდრე თათარიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;

ლალი ალადაშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი (ახმეტის N1 საბავშვო ბაღი):**

ანა კანჯარაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;

დინარა ბოლქვაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

ალექსანდრე თათარიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;

ლალი ალადაშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი (აწყურის საბავშვო ბაღი):**

ანა კანჯარაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;

დინარა ბოლქვაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

ალექსანდრე თათარიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;

ლალი ალადაშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი (მატანის N1 საბავშვო ბაღი):**

მარინა გოგოლაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;

ირმა გოგოლაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

ალექსანდრე თათარიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი);

ლალი ალადაშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი (მატანის N2 საბავშვო ბაღი):**

მარინა გოგოლაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;



**ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (საგურამოს საბავშვო ბაგა-ბაღი):**

ნათია მუნჯიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;

ეკატერინე კობახიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

დალი მედოიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;

მარიამ გელხვიძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (ციხისძირის საბავშვო ბაგა-ბაღი):**

ნათია მუნჯიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;

ეკატერინე კობახიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

დალი მედოიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;

მარიამ გელხვიძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2026 წლის 22 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (დუისის N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (ახმეტის N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (აწყურის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (მატანის N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (მატანის N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (ზემო ალვანის N3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

7. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (აღდგომლიანთკარის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (მცხეთის N6 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ნატახტრის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (წეროვნის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (საგურამოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (მუხრანის N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
13. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ციხისძირის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

### **შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

### **პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:**

#### **ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (დუისის N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საბჭოს მდივანმა, ეკატერინე ლეჟავამ, აღნიშნა, რომ საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე, მოგვიანებით შემოუერთდებოდა საბჭოს სხდომას.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი..

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ანა კანჯარაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრში შემავალ დუისის N2 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 3 და 4 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 - წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის). სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 45. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 45 ბავშვისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ნაწილ მათგანთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო დასკვნაში მითითებული ხარვეზების ნაწილის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა კომპიუტერთან და ინტერნეტთან წვდომის საკითხით.

ექსპერტმა, ანა კანჯარაძემ განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს წვდომა ჰქონდა კომპიუტერთან, თუმცა ინტერნეტით არ არის უზრუნველყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ტრანზიციის მექანიზმის საკითხით. დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება ტრანზიციის მექანიზმს უმოკლეს დროში დანერგავს.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა ბავშვზე ძალადობის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი მექანიზმი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 14:27**

**დასრულების დრო -14:38**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (დუისის N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 45-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრს (დუისის N2 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 45-ით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 22 ივნისი.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 22 ივნისისა.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (ახმეტის N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ანა კანჯარაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრში შემავალ ახმეტის N1 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 5 და 6 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 - წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის). სკოლამდელი

აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 89. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 89 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ანა კანჯარაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ნაწილ მათგანთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო დასკვნაში მითითებული ხარვეზების ნაწილის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ჩეჩნური ენის შესწავლის მოთხოვნის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბავშვები ქართულ ენას კარგად ფლობენ, ასევე, ოჯახებიდანაც მოთხოვნაა ქართული ენის სრულყოფილად შესწავლაზე.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების ბავშვებისთვის შესწავლის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი გავლილია ახმეტის მერის მოადგილესთან, მათ უკვე დაწყებული აქვთ სამუშაოები და ვადაზე ადრე იქნება მოგვარებული ინფრასტრუქტურის ნაწილის ყველა მიმართულება, ეს იქნება საბავშვო ბაღის კანალიზაციის საკითხი თუ ეზოს მოპირკეთება. რაც შეეხება ჰიგიენის საკითხს დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ყველგანაა მინიშნება ხელის დაბანასთან დაკავშირებით. დისპენსერების შექმნაც ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 15:07**

**დასრულების დრო - 15:17**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (ახმეტის N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 89-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

## **გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრს (ახმეტის N1 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 89-ით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 22 ივნისი.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 22 ივნისისა.

## **მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

### **ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი (აწყურის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, განაცხადა, რომ საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, მაკა მაისურამე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ანა კანჯარაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრში შემავალ აწყურის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 7 და 8 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში

(მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 - წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის). სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 21. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 21 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ანა კანჯარაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ნაწილ მათგანთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო დასკვნაში მითითებული ხარვეზების ნაწილის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა მწერების და მღრღნელებთან გამკლავების საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ ერთჯერადად გააკეთა სადეზინფექციო სამუშაოები. იქიდან გამომდინარე, რომ საკმაოდ დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული, აცხადებენ ტენდერს, რომლის საშუალებითაც იქნება მუდმივი სადეზინფექციო სამუშაოები შესაძლებელი.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა საგანმანათლებლო რესურსების შეძენის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყოველწლიური ტენდერის საშუალებით ხდება რესურსების შეძენა. მიმდინარეობს ბაზრის კვლევები და ახალი სასწავლო წლისათვის მოხდება საჭირო რაოდენობის რესურსები შეძენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 15:41**

**დასრულების დრო - 15:43**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (აწყურის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 21-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრს (აწყურის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 21-ით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 22 ივნისი.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 22 ივნისისა.

### **მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

#### **ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (მატანის N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, აღნიშნა, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ნანა ათუაშვილმა. ასევე, გადაუდებელი სამსახურებრივი საჭიროების გამო, თავად, საბჭოს თავმჯდომარეს, უწევდა ავტორიზაციის საბჭოს მიმდინარე სხდომის დროებით დატოვება და მის ნაცვლად საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ფუნქცია დაეკისრებოდა საბჭოს წევრს, ნინო ლაბარტყავას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ მიმართა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს ეთანხმებოდნენ თუ არა გადაწყვეტილებას.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ ეთანხმებოდნენ.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრში შემავალ მატანის N1 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 03 და 04 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის). სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 47. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 47 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარინე გოგოლაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, ნინო ლაპარტყავა, დაინტერესდა, რამდენად იქნება შესაძლებელი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრა განსაზღვრულ ვადაში და გააჩნია თუ არა დაწესებულებას აღნიშნული პროცესის განსახორციელებლად საკმარისი ფინანსური მხარდაჭერა.

ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ, განმარტა, რომ დაწესებულებაში გამოვლენილი ხარვეზები ისეთი ხასიათის არ არის, რომელთა აღმოფხვრაც 12 თვიან პერიოდში ვერ განხორციელდება. მისივე განმარტებით, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საკითხები უახლოეს ეტაპზე მოწესრიგდება, ხოლო ინფრასტრუქტურულ გარემოში გამოვლენილი ხარვეზები შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში აღმოფხვრება. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროცესს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა ექნება.

საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე, დაინტერესდა ავტორიზაციის მაძიებელი საბავშვო ბაღისთვის სურსათის შესყიდვის, მიღებული პროდუქციის ხარისხის კონტროლისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვის მექანიზმებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის განმარტებით, სურსათის შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო პროდუქციის მიღება, შენახვა და გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება დადგენილი წესებისა და ტემპერატურული რეჟიმების მკაცრი დაცვით. მისივე ინფორმაციით, ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელია გაერთიანების მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის განყოფილება. ამასთან, პროდუქციის

პირველად შემოწმებას განახორციელებს უშუალოდ ბაღის პერსონალიც, ხოლო რაიმე შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, გატარდება კანონით გათვალისწინებული ზომები და მოხდება პროდუქციის ჩანაცვლება.

საბჭოს წევრი, მარინე ბადაური, დაინტერესდა დაწესებულების ინფრასტრუქტურული მოწყობის, საკანალიზაციო სისტემისა და სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის საკითხებით. დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბავშვო ბაღის შენობა მუნიციპალიტეტის მიერ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა, ხოლო წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია უკვე განხორციელებულია. მისივე განმარტებით, სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდება, რაც წყლის სინჯების აღებასა და ლაბორატორიულ შემოწმებას მოიცავს.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების პერსონალით უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურულ გარემოში გამოვლენილი საჭიროებების მოგვარების საკითხებით.

ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ, განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში ჭურჭლის მრეცხავისა და მეეზოვის პოზიციები ვაკანტური იყო.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფუნქციონირების დაწყებამდე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პერსონალის დასაქმება, გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილება და დასუფთავების ინვენტარის სათანადო შენახვა.

სხდომის თავმჯდომარე, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა პერსონალის 66-საათიანი ტრენინგ-მოდულით გადამზადებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საკითხებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 66-საათიანი ტრენინგ-მოდულის ფარგლებში პერსონალის ნაწილი უკვე გადამზადებულია. მისივე განმარტებით, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება კოლეგებისთვის მეთოდისტების ჩართულობითა და ადგილზე განხორციელებული პროფესიული მხარდაჭერის მეშვეობით მოხდება.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 16:27**

**დასრულების დრო - 16:30**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (მატანის N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 47-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრს (მატანის N1 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 47-ით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 22 ივნისი.

საბჭომ ავტორიზაციის II, III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი დაწესებულებას განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 22 ივნისისა.

### **მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

### **ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (მატანის N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიანა გოგოლაძემ. მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის მატანის N 2 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 07 და 08 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის). ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების თვითშეფასების ფორმის თანახმად, მოთხოვნილი ბავშვთა ადგილების

ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 40-ს. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა აღნიშნულ მოთხოვნას და მიიჩნევდა, რომ დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა 40 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარინე გოგოლაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად ესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხებით.

ექსპერტმა, ლალი ალადაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური წყალმომარაგებით, ხოლო საკანალიზაციო სისტემისთვის მოწყობილია საასენიზაციო ორმო.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ საასენიზაციო ორმოს დაცლა-დასუფთავებასთან დაკავშირებული მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე, დაინტერესდა ალერგიული ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვების კვების ორგანიზებისა და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბავშვის ჩარიცხვისას შეივსება შესაბამისი ფორმა, სადაც აისახება ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათ შორის ალერგიის ან კვებითი აუტანლობის შესახებ, რის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა ალერგიული რეაქციის ან სხვა გადაუდებელი შემთხვევის გამოვლენისას პირველადი დახმარების ორგანიზების საკითხებით.

ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ, განმარტა, რომ დაწესებულებაში მოწყობილი იქნება შესაბამისი სამედიცინო სივრცე, განსაზღვრული იქნება პირველადი დახმარების პროცედურები და უზრუნველყოფილი იქნება შემთხვევების სათანადო აღრიცხვა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა ბავშვის დაწესებულებაში მიღებისა და ტრანზიციის პროცესის საკითხებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უზრუნველყოფილი იქნება როგორც მცირე, ისე დიდი ტრანზიციის პროცესის განხორციელება, ბავშვის ჩარიცხვამდე კი შეგროვდება ინფორმაცია მისი ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 17:06**

**დასრულების დრო -17:10**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (მატანის N 2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრს (მატანის N2 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 40-ით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 22 ივნისი.

საბჭომ II, III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი დაწესებულებას განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 22 ივნისისა.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (ზემო ალვანის N3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, ნინო ლაბარტყავამ, განაცხადა, რომ საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრში შემავლ ზემო აღვანის N3 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05 და 06 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის). სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 50 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარინე გოგოლაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა დაწესებულების ავეჯითა და სხვა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაბამისი ტენდერი გამოცხადებულია და დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნება ფუნქციონირებისთვის საჭირო ავეჯითა და ინვენტარით.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის საკითხებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური წყალმომარაგებით, ხოლო საკანალიზაციო სისტემისთვის მოწყობილია საასენიზაციო ორმო. ექსპერტის განმარტებით, შესაბამისი მომსახურების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები უმოკლეს ვადაში მოწესრიგდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 17:41**

**დასრულების დრო - 17:45**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის (ზემო ალვანის N3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6-მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრს (ზემო ალვანის N3 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 22 ივნისი.

საბჭომ II, III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი დაწესებულებას განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 22 ივნისისა.

**მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (აღდგომლიანთკარის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია მუნჯიშვილმა. მან განაცხადა, რომ აღდგომლიანთკარის საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 30 და 31 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ნაწილ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ნაწილი ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტთან, კერძოდ კი 4.4 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი ხარვეზების საკითხთან მიმართებით დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის პოზიციით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია თელიამ, ავტორიზაციის საბჭოს მიმართ თხოვნით, 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია წარედგინა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ დაქირავებულ ნუტრიციოლოგს, რომლის მიერაც იქნა შეიმუშავებული მენიუ.

დაწესებულები სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ნუტრიციოლოგმა, თამარ ნაროუშვილმა, დეტალურად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დასკვნაში 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მაკა მაისურაძემ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელი ნუტრიციოლოგისგან დამატებითი ითხოვა განმარტება რძის პროდუქტების დათვლის საკითხთან დაკავშირებით.

ნუტრიციოლოგმა აღნიშნა, რომ რძის პროდუქტების დათვლა განხორციელდა ჩანაცვლების ცხრილის საშუალებით.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა, საბავშვო ჭურჭელთან, კონკრეტულად კი დანებთან დაკავშირებული არგუმენტირებული პოზიციის საკითხით.

ნუტრიციოლოგის, თამარ ნაროუმვილის განმარტებით, დაწესებულებისათვის დანების ფლობა არ წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებას. აღნიშნული ჭურჭლის ფლობა განსაზღვრულია ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევაში, რომელიც წარმოადგენს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს და ასევე, განიხილა ის რისკები, რაც შესაძლოა მოყვეს დაწესებულებებში ბავშვთა კვებაში დანების გამოყენებას.

საბჭოს წევრმა, მაკა მაისურაძემ, განმარტა, რომ "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების" შესახებ საქართველოს მთავრობის N487 დადგენილებით განსაზღვრულია, რომ "დაწესებულებაში უნდა არსებობდეს შესაბამისი აღჭურვილობა, ჭურჭელი და ავეჯი". რაც გულისხმობს მენიუში გაწერილი კერძების შესაბამისი ჭურჭლის ფლობას, როგორც არის თეფში, დანა, ჩანგალი, კოვზი და აშ.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავამ, დანების უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით ასევე აღნიშნა, რომ კვების ეტიკეტის სწავლება უნდა მიმდინარეობდეს ადრეული ასაკიდან, რისთვისაც საჭირო გახლავთ ჭურჭლის შესაბამისი კომპლექტაციის, მათ შორის დანების არსებობა. კვების პროცესში დანა-ჩანგლის, დიდი და პატარა კოვზის გამოყენება, ასევე საგანმანათლებლო აქტივობებისთვის შესაბამის დანებისა და მაკრატლის გამოყენება მნიშვნელოვანია ბავშვის ნატიფი მოტორიკის განვითარებისთვის. სკოლამდელ დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესი უნდა ხორციელდებოდეს უფროსის ზედამხედველობის ქვეშ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, სთხოვა კვების დარგში ექსპერტს, დალი მედოიძეს, წარმოედგინა მისი პოზიცია დაწესებულების სტატუსის მაძებლის მიერ გამოთქმულ პოზიციასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მაკა მაისურაძემ, კვების დარგის ექსპერტისგან ითხოვა დამატებითი განმარტებები ნიმუშის აღების საკითხთან დაკავშირებით გაწერილი რეკომენდაციის საკითხით.

კვების დარგის ექსპერტმა, დალი მედოიძემ, აღნიშნა რომ რეკომენდაციის გაწერის დროს იხელმძღვანელა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევით.

საბჭოს წევრმა, მაკა მაისურაძემ, კვების დარგის ექსპერტისგან დამატებით ითხოვა განმარტება ქიმიის, ჰალვისა და ნიგვზის გამოყენებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის საკითხით.

კვების დარგის ექსპერტმა, დალი მედოიძემ, განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში (მენიუ, კარტოთეკა) განსხვავებული ჩანაწერები ფიქსირდება ზემოხსენებული პროდუქტების მიწოდებასთან დაკავშირებით. ასევე, ექსპერტმა განმარტა პურ-ფუნთუშეულთან მიმართებით გაწერილი რეკომენდაციის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 19:45**

**დასრულების დრო - 20:20**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (აღდგომლიაანთკარის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (აღდგომლიაანთკარის საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 22 ივნისი.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 22 ივნისისა. ასევე, საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტის შეფასება ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე, საბჭომ, დაწესებულებას, IV სტანდარტის 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები განუსაზღვრა შემდეგ საკითხებთან მიმართებით: 1. საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები - დაწესებულებამ კვების უზრუნველყოფის მექანიზმსა და შესაბამის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებში (SOP) დეტალურად გაწეროს მენიუში არსებული მაღალი რისკის მქონე სურსათის (მათ შორის ქიშმიში, ჰალვა და ნიგოზი) უსაფრთხო დამუშავებისა და გამოყენების წესები. ამასთან, უზრუნველყოს შიდა დოკუმენტებს შორის თანმიმდევრულობა და აღმოფხვრას წინააღმდეგობები (მათ შორის SOP (02)-ში ქიშმიშის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვა), რათა პროცესი განხორციელდეს ერთგვაროვნად და სურსათის უსაფრთხოების მოთხოვნების სრული დაცვით. 2. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეული ბავშვზე გაწერილია 1300 გ პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია -დაწესებულებამ უზრუნველყოს მენიუ-ფაქტურის მონაცემების სრულყოფილი და სწორად კლასიფიცირებული აღრიცხვა, მათ შორის საკონდიტრო ნაწარმის ყველა სახეობის შესაბამის საკვებ ჯგუფებში ზუსტად ასახვა და დათვლა. ასევე, რეკომენდებულია გადამოწმდეს პურისა და მარცვლეულის/ბურღულის ფაქტობრივი რაოდენობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაბამისობა რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან.

რეკომენდაციების შესრულების ვალდებულება განუსაზღვრა დაწესებულებას და მეოთხე სტანდარტის შეფასება განსაზღვრა "ნაწილობრივი შესაბამისობით". 3. დაწესებულების მიერ

დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4300 გ ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში - დაწესებულებამ გადახედოს და დაარეგულიროს მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე განსაზღვრული ხილის (მათ შორის ხილის ჩირის), ბოსტნეულისა და კარტოფილის რაოდენობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაბამისობა რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან. 4. დაწესებულებას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი და ფინანსური რესურსი - ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაწესებულებამ უზრუნველყოს ბავშვთა კვების პროცესში დანის გამოყენების შესაძლებლობა ასაკობრივად შესაბამისი და უსაფრთხო ფორმის უზრუნველყოფის გზით.

### **მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

### **ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (მცხეთის N6 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია მუნჯიშვილმა. მან განაცხადა, რომ მცხეთის N6 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 1 და 2 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მამიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მამიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ნაწილ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ნაწილი ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების შენობის ადაპტირების საკითხით.

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია მუნჯიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების შესასვლელი უზრუნველყოფილი იყო პანდუსით, თუმცა შენობაში არ იყო პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 20:40**

**დასრულების დრო - 20:45**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (მცხეთის N6 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 3

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (მცხეთის N6 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 22 ივნისი.

საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 22 ივნისისა. ასევე, საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე

სტანდარტთან დაკავშირებით შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტის შეფასება ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე, საბჭომ, დაწესებულებას, IV სტანდარტის 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები განუსაზღვრა შემდეგ საკითხებთან მიმართებით: 1. საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები - დაწესებულებამ კვების უზრუნველყოფის მექანიზმსა და შესაბამის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებში (SOP) დეტალურად გაწეროს მენიუში არსებული მაღალი რისკის მქონე სურსათის (მათ შორის ქიშმიში, ჰალვა და ნიგოზი) უსაფრთხო დამუშავებისა და გამოყენების წესები. ამასთან, უზრუნველყოს შიდა დოკუმენტებს შორის თანმიმდევრულობა და აღმოფხვრას წინააღმდეგობები (მათ შორის SOP (02)-ში ქიშმიშის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვა), რათა პროცესი განხორციელდეს ერთგვაროვნად და სურსათის უსაფრთხოების მოთხოვნების სრული დაცვით. 2. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეული ბავშვზე გაწერილია 1300 გ პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია -დაწესებულებამ უზრუნველყოს მენიუ-ფაქტურის მონაცემების სრულყოფილი და სწორად კლასიფიცირებული აღრიცხვა, მათ შორის საკონდიტრო ნაწარმის ყველა სახეობის შესაბამის საკვებ ჯგუფებში ზუსტად ასახვა და დათვლა. ასევე, რეკომენდებულია გადამოწმდეს პურისა და მარცვლეულის/ბურღულის ფაქტობრივი რაოდენობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაბამისობა რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან.

რეკომენდაციების შესრულების ვალდებულება განუსაზღვრა დაწესებულებას და მეოთხე სტანდარტის შეფასება განსაზღვრა "ნაწილობრივი შესაბამისობით". 3. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4300 გ ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში - -დაწესებულებამ გადახედოს და დაარეგულიროს მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე განსაზღვრული ხილის (მათ შორის ხილის ჩირის), ბოსტნეულისა და კარტოფილის რაოდენობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაბამისობა რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან. 4. დაწესებულებას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი და ფინანსური რესურსი -ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაწესებულებამ უზრუნველყოს ბავშვთა კვების პროცესში დანის გამოყენების შესაძლებლობა ასაკობრივად შესაბამისი და უსაფრთხო ფორმის უზრუნველყოფის გზით.

### **მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

### **ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ნატახტრის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია მუნჯიშვილმა. მან განაცხადა, რომ ნატახტრის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 3 და 4 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 115. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 115 ბავშვისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ნაწილ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ნაწილი ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი საკითხების აღმოფხვრის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია თელიამ, აღნიშნა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი რიგი საკითხების აღმოფხვრაზე უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა. მაგალითისთვის მოიყვანა, რომ ჯგუფურ ოთახებში, შესაბამის სიმაღლეზე, უკვე განათავსეს თერმომეტრები. დენსართებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციის შესრულებაზე მიმდინარეობს მუშაობა. ასევე, დაწყებული აქვთ საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციის მოწყობა.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების შენობის ადაპტირებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებით.

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია მუნჯიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების შესასვლელი უზრუნველყოფილი იყო პანდუსით, თუმცა შენობაში არ იყო პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი. ასევე, შემუშავებული და დამტკიცებული აქვთ საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია თელიამ, აღნიშნა, პერსონალი იცნობს საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 20:55**

**დასრულების დრო - 21:00**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ნატახტრის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 115-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (ნატახტრის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 115-ით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 22 ივნისი.

საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 22 ივნისისა. ასევე, საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტის შეფასება ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე, საბჭომ, დაწესებულებას, IV სტანდარტის 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები განუსაზღვრა შემდეგ საკითხებთან მიმართებით: 1. საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები - დაწესებულებამ კვების უზრუნველყოფის მექანიზმსა და შესაბამის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებში (SOP) დეტალურად გაწეროს მენიუში არსებული მაღალი რისკის მქონე სურსათის (მათ შორის ქიშმიში, ჰალვა და ნიგოზი) უსაფრთხო დამუშავებისა და გამოყენების წესები. ამასთან, უზრუნველყოს შიდა დოკუმენტებს შორის თანმიმდევრულობა და აღმოფხვრას წინააღმდეგობები (მათ შორის SOP (02)-ში ქიშმიშის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვა), რათა პროცესი განხორციელდეს ერთგვაროვნად და სურსათის უსაფრთხოების მოთხოვნების სრული დაცვით. 2. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში

